ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქ. N4ა საცხოვრებელი სახლის N74 ბინაზე, მოქალაქე ლევან შენგელიასათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ლევან შენგელიას განცხადება /2012 წ. 29.06 Nშ–5145/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქ. N4ა საცხოვრებელი სახლის N74 ბინა/ საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქ. N4ა საცხოვრებელი სახლის N74 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ლევან შენგელიას.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/ ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქ. N4ა საცხოვრებელი სახლის N74 ბინაზე /საერთო ფართობი 45,95 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 25,83 კვ.მ. დამხმარე ფართობი 20.12 კვ.მ./ მოქალაქე ლევან შენგელიას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი გ.თევდორაძე